№ 65 მარტი 22, შაბათი 1886 მარტი 22, შაბათი № 65

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს ჲ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ქართული თეატრი

კვირას, 23 მარტს

ქართულის დრამატიულის დასის არტისტის დ. მ. აწყურელისაგან გამართული იქნება:

კონცერტი

ოთხს განყოფილებად, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, ანდრონიკოვისა; და ბბ. აბაშიძე, მესხიევი, საბუელი, მოხევე, ნებიერიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზედ.

ტფილისი, 21 მარტს

წელიწადი ისე არ გავა, რომ რომელიმე მხარე ჩვენის ქვეყნისა არ დაისეტყვოს და ამით აუარებელი ზარალი არ მოგვაყენოს ხოლმე. ეს უბედურობა ხშირად ისე ათახსირებს ხოლმე მთელს მხარეს საზოგადოდ, ცალკე მემამულეს საკუთრივ, რომ კარგა ხანს დასეტყვილი ადგილი და მისი მკვიდრნი წელში ვეღარ გასწორდებიან, ვეღარ გაიმართებიან ხოლმე. რა თქმა უნდა, ამ ჭაერიდამ მოვლენილს უბედურობას კაცი ვერ მოსპობს, ბუნებას სეტყვის სროლას ვერ მოაშლევინებს, თუმცა მეცნიერნი დიდი ხანია დიდს ცდაში არიან მოიგონონ იმისთანა რამ, რომ, როცა სეტყვა მოდის, მემამულის მეცადინეობით და წინასწარ-მომზადებით მისი უბედურობა როგორმე თვითვეულს მამულს ცალკე ასცდეს. სახელოვანმა და დიდად გამოჩენილმა ასტრონომმა არაგომ დიდი შრომა გასწია ამისათვის, ბევრი რამა სცადა, ზოგჯერ გამარჯვებითაც, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს სეტყვის ამსხლეტი საშუალება დღესაც უებარს სახსარს არ წარმოადგენს და თუ სადმე არაგოს მიერ ნარჩევი ღონეა ხმარებული, იგი ღონე სათუო და არა უებრად გამოსადეგია. რასაკვირველია, ადამიანის გამჭრიახობამ შესაძლოა ეგ სახსარიც ოდესმე მოიპოვოს: ჩვენმა თითქმის სასწაულთ-მომქმედმა საუკუნემ ბევრი მაგალითი გვიჩვენა ადამიანის ჭკუის ძლიერებისა და ძლევა-მოსილობისა. იმედი არ უნდა დავკარგოთ, რომ ოდესმე ის მოხერხდება, რაც დღეს მოუხერხებელი გვგონია.

ხოლო მინამ ეს ბედნიერი დღე გვეწვევა და სეტყვისაგან უტყუარს სახსარს მოვესწრობოდეთ, არის ერთი გზა, ერთი ღონე, რომელიც თუ სეტყვას არ დააყენებს, მისგან ვნებას კი შეასუსტებს, შეამცირებს და კაცს არ გაათახსირებინებს. ის გზა, ის ღონე სეტყვისაგან დაზღვევაა, რუსები რომ «страхованіе»-ს ეძახიან. ეს ღონე სამზღვარ გარედ და თვითონ რუსეთშიაც უკვე მიღებულია და დიდად ჰშველის ქვეყანასა. ბევრგან უფრო ხშირად ამისთანა დამზღველი საზოგადოება აქციონურს წესზეა აგებული. ამ გვარ საზოგადოებათა ნება-დართვა აუღიათ მთავრობისაგან, რომ სათავნო ფული, ანუ უკეთ ვსთქვათ, ძირის ფული აქციებით მოეგროვებინათ, თავნი შეედგინათ და მის იმედით დაეწყოთ მოქმედება. მოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ მემამულე შეიტანს თავის მამულს დასაზღვევად ამ საზოგადოებაში, იხდის საზოგადოების სასარგებლოდ დაწესებულს გადასახადსა ყოველ წლივ და, თუ უბედურობა ეწვია სეტყვისაგან, საზოგადოება ყოველს წანახედს და ზარალს აუყენებს ხოლმე იმოდენად, რამოდენადაც მამულის წლიური მოსავალი დაზღვეულია. თუმცა სეტყვა ყველგან ხშირია და მაშასადამე, ხშირად მოსდის ხოლმე საზოგადოებას სეტყვის ზარალის გადახდა, მაგრამ იშვიათი მაგალითია, რომ ამით საზოგადოება სადმე გაკუტრებულიყოს და მაინც მოგება არა ჰრჩებოდეს ყოველ წლივ.

ჩვენში აქციებით ფულის შოვნა ჲ საზოგადოების შედგენა, ძალიან ძნელია. აქაური ფულიანი ხალხი მეტად მშიშარანი არიან და, სწორედ მოგახსენოთ, არც თვალი და გონება უჭრით, რომ საზოგადოდ ახალს საქმეს და ამისთანას საკუთრივ ფული ანდონ. ცხენის რკინის-გზა ამისი ცხადი მაგალითია. არც ერთმა აქაურმა სოვდაგარმა და ფულიანმა კაცმა არ იწამა, რომ მაგ ცხენის რკინის გზას კაი მოგება შეუძლიან მოიტანოს, და ამის გამო არავინ აქაური ახლოც არ მიეკარა. როცა სხვებმა, უფრო გამჭრიახეებმა ამ საქმეს ხელი ჩაჰკიდეს, მაშინ დაიწყეს აქაურებმა ცხვირში ცემა—ეს საქმე ხელიდამ როგორ გავუშვითო. ბევრსა ჰნანობენ ეხლა, მაგრამ რაღას უშველიან: ლუკმა პირიდამ გაჰვარდათ და სხვის ჯამში კი ჩავარდა. გონებით ბრმას ყოველთვის ასე მოსდის და რომ ჩვენებური სოვდაგრობა ამ ღირსებას მოკლებული არ არის, ეგ ცხადია.

ამ სახით აქაურ ფულიან კაცებზედ იმედი არაფრისა და არაფერში არ უნდა ვიქონიოთ. მამას პაპიროზი უკეთებია, შვილმაც პაპიროზი უნდა აკეთოს, სხვას ახალს რასმე აქაურები ვერ გაჰბედვენ: ბედის-წერის წიგნში ეგ არ უწერიათ. მაშასადამე,—როგორ უნდა მოხერხდეს ჩვენში სეტყვისაგან დამზღვევი საზოგადოება? ერთი ღონეა, მეტად სასარგებლო და აქციონურს საზოგადოებაზედ უფრო სანდო, უფრო სარწმუნო და უფრო სახეირო მემამულეთათვის. თვითონ მემამულეებმა ერთმანეთის თავ-დებობით უნდა შეადგინონ დამზღვევი საზოგადოება და ზარალი, თუ მოგება თანასწორად გაიწილადონ. ეს მით უფრო კარგია, რომ, პირველი, ქვეყანა ამ გვარს საზოგადოებას უფრო მიენდობა, უფრო დაერწმუნება, ვიდრე აქციონურს, რომელიც მარტო თვის გამორჩომას ჰზრუნავს და ჰფიქრობს; მეორე, ყოველივე გამორჩომა და მოგება დამზღვევთაგან შემოსული, თვითვე დამზღვევთა დაურიგდება, როგორც მოგება და ამ სახით პირიდამ გავარდნილი ლუკმა დაზღვევის «პრემიის» სახით, «მოგების» სახით დამზღვევისავე ჯამში ჩავარდება და, მესამე, თუ დამზღვევის «პრემია» ადგილის ვითარებასთან მართლა და უტყუარად შეწონილი იქნება, ზარალი შეუძლებელია. ამ მხრით თვითონ მემამულენი უფრო დიდი ოსტატები და გამოცდილები იქნებიან, ვიდრე აქციონერები. ცუდი არ იქნება ჩვენმა მემამულეებმა ამ ჩვენგან ჯერ ხანად მარტო აღნიშნულს და ვრცლად არ ახსნილს აზრს ყურადღება მიაქციონ და სეტყვის შიში და ზარალი როგორმე აიცდინონ. ამ გვარს საზოგადოებას ცეცხლისაგან, დამზღვევს საზოგადოებასთან შედარებით, ეს უპირატესობაცა აქვს, რომ აქ განზრახ სეტყვის მოყვანა, როგორც ცეცხლის წაკიდება, შეუძლებელია და მაშასადამე, იმ თითქმის აუარებელს სიყალბეს და მოტყუებას, რომელიც ცეცხლის საზოგადოე-

ფელეტონი

კაფია

მიკვირს და გამკვირებია,
საით გიყვარვარ ქალაო!
წმინდად მიამბო მერცხალმა,
რაც რო შენ დაგებარაო:
—«რო განახა შორით მოსული,
«დაჯდა, ცრემლები ღვარაო».
— კვეხნაში ნუ ჩამომართომ,
არც აგრე ბრიყვი ვარაო;
ამ კაფიაის მოთქომმა
ბევრი რამ გადაჰყარაო.
კაცს ერთი უნდა უყვარდეს,
განა თუ ერთი ფარაო?
მეც მიყვარს ერთი ლამაზი,
საქვეყნოდ არა ვმალაო;
ის არის ჩემი სიცოცხლე,
და მეყვარება კვალაო.
თუ სიტყვის ღირსი გაგხადე—
შენზედ ესეცა კმარაო.

ბაჩანა

1885 წ. 25 მარტი.

* * *

უცხოთა შორის

როდის შემოვიდა ყველიერი და, საიდგან იწყება ეს ჩვეულება. — როგორ შეექცევიან ყველიერში: პარიჟში, ლონდონში, ვენეციაში, ნიცაში, ბარცელონაში და ბოჰემიაში.—ბერლინის სკანდალი მაღალ საზოგადოებაში.—ჯალათი ბალში.

—

როდის შემოვიდა ჩვეულება ყველიერში დროს გატარება სიმღერით, სხვა ნაირად ჩაცმით, მუსიკით და სხვა-გვარ მრავალ მხიარულებით,—არავინ იცის. თუმცა პირველ შეხედვით კაცს ეგონება, რომ ჩვეულება ესე დაწესდა ყველგან ქრისტიანობის დროსა, მაგრამ ძველი ისტორიის გამოკვლევა გვიმტკიცებს, რომ დასაბამიდგანვე ყოფილა ისეთი კვირა, როდესაც სიმხიარულე თითქმის მოვალეობათ ყოფილა. თვით ძველ ეგვიპტეში დღესასწაული აპისის ხარისა; ებრაელთ ფურიუმი; ბერძნებთა ბაკუსნალია, რომაელთა სატურნალია—სუ ყველა ესე იმავე ყველიერის შექცევის სახეა. სიტყვა «*carnaval*» წარმოსდგება ლათინურ მარცვლიდგან «*carno*» ხორცი და «*vale*» მშვიდობით, ე. ი. მშვიდობით ხორცო. სახელი ესე დარქმეულია, რასაკვირველია, ქრისტიანობის დროს. ეხლა, ეგონებთ, დედა-მიწაზედ ხალხი არ იყოს, რომელიც ყველიერს არა დღესასწაულებდეს; და ყველა ხალხს ამ დროს გატარებაში თავისი ზნეობითი ხასიათი არ დასტყობოდეს.

ყველიერი მეტად განთქმული იყო და ეხლაც არის საკუთრად იტალიაში. იტალიას ამ მხრით დიდი გავლენა ჰქონდა საფრანგეთზედ. მე-XVI საუკუნეში და შემდეგ, მეფენი საფრანგეთისანი, ჰენრიხ III და IV დიდ მონაწილეობას მიიღებდნენ ხოლმე ყველიერის შექცევაში, და თვით სხვა ნაირად ჩაცმულნი ჩეერეოდნენ თურმე ხალხში და მათთან დადიოდნენ ქუჩებში. მკითხველთ ვგონებ გაეგონებათ საფრანგეთის ჩვეულება, დიდმარხვის სამშაბათს, რომ «მსუქანს ხარს» ატარებენ ქუჩა-ქუჩა. ამ დროსთვის გაასუქებენ უშველებელ ხარსა; ზედ დასმენ ღვინის ღმერთს ბახუსსა, გვერდით მისდევს თხა და ამ ამბით, მუსიკის კვრით, თამაშობით, ყვირილით, ღრიალით ატარებენ ამ ხარს პარიჟის ქუჩებში. დაჰკვლენ და დაიწყება ჰომერიული ჭამა-სმა და ღრეობა. ამ ჩვეულებას ნაპოლეონ III ძალიან სწყალობდა და მის დროს პარიჟის «კარნავალი» განთქმული იყო. საკვირველია, რომ სამისავე რესპუბლიკის დროს, მსუქანის ხარის ტარება აკრძალული იყო; უთუოდ უწესოებისა ეშინოდათ.—ამ ოთხის წლის წინად ხალხმა ითხოვა ამ შესაქცევარის ჩვეულების აღდგენა და მართებლობამ ნება მისცა, მაგრამ ამ ჩვეულებას ის მდიდრული ხასიათი და ბრწყინვალება აღარა აქვს, რომელიც ნაპოლეონის დროსა ჰქონდა.

ბაირონი ამბობს,—ქვეყანაზედ ვენეციის ქალაქისთანა სხვა არსად მოიპოვებაო, რომ ასე კარგად ატარებდნენ დროსა, როგორც აქაო. მართლადაც, თუ დღეს კიდევ მედიდური ხასიათი აქვს სადმე ყველიერს, რასაკვირველია, ვენეციაშია და ნიცაში. ამ ქალაქებში მთელი კომიტეტები შედგება ხოლმე ყველიერის სადღესასწაულოდ, და ჯილდოდ ფულსა სდებენ იმ ნიღაბიანებისათვის (მასკებისთვის), რომელიც უფრო კარგად, მახვილ-გონიერად და სასაცილოდ იქნებიან ჩაცმულნი. ეს ჯილდო ხშირად სამას-ოთხას თუმანს შეადგენს ხოლმე. ყოველს კლუბს თავის ჯილდო აქვს დანიშნული; თვით ქალაქის მმართველობა მოაგროვებს ხოლმე ფულსა ამ დღეობისათვის... თუ კარგად ჩაცმული ხართ, არ გირჩევთ ამ ქალაქებში ყველიერში ქუჩაში გაიაროთ: ან მუაჯრიდამ წყალს დაგასხმენ, ან ფქვილს დაგაყრიან, ან კონფეტით თავს გაგილაყებენ!... «კონფეტს» ეძახიან პატარა გუნდას ხისას ანუ ალებასტრით გაკეთებულს; ამ გუნდას გამვლელ-გამომვლელებს სახლებიდამ ესვრიან იმდენს, რომ ხანდისხან პირი-სახეს დაუსისხლებენ ხოლმე. ნიცაში წრეულს დიდი კრივი ყოფილა.—მკითხველებს ის მუშტის და ქვის კრივი კი არ ეგონოსთ, რომელიც წრეულს გორელებმა გამართეს; არა, კრივი გახლდა... ყვავილებისა! ერთმანეთს იმდენ ყვავილებს ესროდნენ, რომ ქუჩაში არ გაივლებოდა. ეტლით სიარული ყოვლად შეუძლებელი იყო, იმდენი ყვავილები ყრილა ქუჩაშია!... რომში სხვა ჩვეულება აქვსთ. ჩვენ დიდ-მარხვის სამშაბათს (ყველიერი ფრანგებს ოთხშაბათამდინ აქვსთ) რომაელები დიდი და პატარა გამოდიან ღამე კარზედ სანთლებით და იმითი შექცევიან, რომ ერთმანეთს სანთლებს უქრობენ.

ინგლისელს არ უყვარს ქუჩაში შექცევა და გართობა. იგი სახლშია შეკეტილი და «მასკის ბალში» ატარებს დროსა... რადგანაც ინგლისელებს ხშირად «სპლინი», ესე იგი დაღვრემილება სჭირთ. «სპლინი» ქართულად ასე თუ გადმოითარგმნება, თორემ სხვა გვარ ძნელია. ან რასაკვირველია, როცა მხიარულს და

ბას თანა ჰზდევს და რომელიც უმთავრესი მიზეზია საზოგადოების ზარალისა,—აქ ადგილი არ ექნება.

ახალი ამბავი

⁂ როგორც გვიამბეს ხონიდამ ჩამოსულებმა, ხონის საზოგადოებას გადუწყვეტია მართებლობას დაეხმაროს ტელეგრაფის გაყვანაში და ხვედრი ფული უკვე შეუწერიათ კიდეც.

⁂ «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» გადაუწყვეტია გამოსცეს «ვეფხვის-ტყაოსანი» პატარა გამოცემად, როგორც აქამდე გამოდიოდა უსურათებოდ, დაბალის ხალხისთვის და სკოლებში სახმარებლად. ამ გამოცემის თადარიგს უკვე შესდგომიან.

⁂ ვაჭრობის დეპუტაციამ 17 მარტიდგანვე მიჰყო ხელი ყველა ვაჭრის დუქნების გაჩხრეკას და გასინჯვას. ამ დეპუტაციაში მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე ამ საგნისათვის განწესებულთ სახაზინო პალატის მოხელეთა. გასინჯეს 500-მდე სხვა-და-სხვა დუქანი და არავითარი ბოროტ-მოქმედება ვერ ამოაჩინეს; სასწორები ყველგან სწორე და რიგიანი ყოფილა. მხოლოდ ხუთს არა ჰქონდა საჭირო ქაღალდები, რომლითაც ვაჭრობის ნება ჰქონოდეთ. ეს პირნი კანონიერს საპასუხოდ არიან დეპუტაციისაგან მიწვეულნი.

⁂ ჩვენის გაზეთის მკითხველებს უკვე ეხსომებათ, რომ იანვრის 25 ტფილისის მაზრაში თათრის სოფელ სოღანლუღში დისტანციის უფროსმა ნ. გაბარაშვილმა დაიჭირა ციმბირიდან გამოქცეული ავაზაკი ალი-ასკარ-აილარ-ოღლი და, მეორე ამისი ამხანაგი რუსტამ-შიხი-ოღლი კი გაიქცა. საყურადღებოა ეს რუსტამ-აილარ-ოღლი რა მოხერხებით გააპარეს სოფლიდამ თავის ნათესავებმა. როდესაც ბ-ნი გაბარაშვილი თავისის კამანდით შემოერტყა სახლს, სადაც გულებოდა შიხი-ოღლი, ეს ყოფილიყო თავის ნათესავის მეორე სახლში. ვიდრე პირველ ალი-ასკარ-აილარ-ოღლის დაიჭერდნენ, იმ შიხი-ოღლისათვის თავის ნათესავებს დედა-კაცის ტანისამოსი ჩაეცმიათ, კოკა ზურგზედ აეკიდნათ და სხვა დედა-კაცებისთვის გაეყოლებინათ ტკვარზედ. აქ ავაზაკს ქალის ტანისამოსი გაეხადნა და გაქცეულიყო.

ეს ამბავი მაზრის უფროსმა მოახსენა ტფილისის გუბერნატორს, რომელმაც დაიბარა სოღანლუღის თათრები, ვადა მისცა, და უთხრა, წადით და იპოვნეთ და წარმოადგინეთ ის ავაზაკი. თუმცა თათრებმა აღუთქვეს, რომ უეჭველად დავიჭერთ და წარმოგიდგენთო, მაგრამ თავიანთი სიტყვა ვერ შეასრულეს. ამის გამო ეხლა სოფ. სოღანლუღში არის ჩაყენებული ზეკუცია თხუთმეტ მარტიდამ, მაგრამ სოფლელები მაინც ვერ იმეტებენ, და არ უნდათ ნაციმბირელი კაცი წარუდგინონ მთავრობას.

⁂ ამ დღებში სოფ. ყარაიაში პრისტავმა დაიჭირა და მეტეხის ციხეში გაჰგზავნა ამზად-ბეგ-აგა-უსეინ-ბეგ-ოღლი. ამ პირს ავაზაკის ქიარიმას დაფარვა ჰბრალდება თავის სახლში და ნაცარცვს ნივთებს და საქონელს თურმე ასაღებდა მალვით. (გაზ. «Нов. Обоз.»)

⁂ იმავე გაზეთს სოფ. ბაშნორაშენიდგანა სწერენ: 25 დეკემბრიდამ 11 მარტამდე ჩვენში სამჯერ მიწა იძვრაო. პირველად ორჯელ, დეკემბერში და თებერვალში ისეთი სუსტი და ხან მოკლე ძვრა იყო, რომ მიმართულებას ვერ შენიშნავდით, საიდგან დაიწყო მიწის ძვრაო. 10 მარტს, საღამოს 3 საათზე და 10 წუთზედ მიწის-ძვრა სამხრეთიდგან მოჰყვა დასავლეთისაკენ მიმართაო. მიწის-ძვრის დროს დედა-მიწიდამ გრგვინვა მოისმაო. მიწის-ძვრა იქამდე ძლიერი იყო, რომ სტოლებზე ჭურჭელი შეირყა და დაკიდებულ ლამპარებმა ქანაობა დაიწყესო.

⁂ გაზ. «მელუ»-ს სწერენ ყიზლარიდამ: 2 მარტს ღამე უცნობმა ავაზაკებმა საზიზღარი ავაზაკობა ისმარეს ერთ ურიის 12 წლის ქალზედ. ამბობენ, რომ უბედური მსხვერპლი ბულვარიდამ მოუტაცნიათ, როცა რაღაც დღესასწაულს დღეს ყიზლარი ჩირაღდნით იყო გაჩაღებულიო.

⁂ კახეთიდგანა სწერენ გაზ. «Кавказъ»-ს: «თებერვლის თთვის ბოლოს აქ ისეთი თბილი დღეები იყო, რომ ნუშისა და შვინდის ხეები აყვავდნენო. მაგრამ 8 მარტს დაიწყო წვიმა, მარტის 11-ს წვრილი სეტყვაც მოვიდა. საზოგადოდ აგერ რამდენიმე დღეა წვიმა და თოვლ-ჭყაპი განუწყვეტლივ მოდის; ყველგან ატალახებულია, მინდვრებზე გუბეები დგას; ვენახებში მუშაობა დაყენებულია, ხვნა ჯერ არ არის დაწყებულიო. მცხოვრებლები უსაქმოდა სხედან სახლში და საქონელი კი უბალახობით იღუპებაო. თუმცა მოსავალს კარგი პირი უჩანს, მაგრამ სიღნაღის ბაზარში შუა ხარისხის პური ფუთი მაინც 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ. და მეტადაც ისყიდებაო. ნათქვამია: «ზოგი ჭირი მარგებელიაო», ხშირმა და ცივმა წვიმებმა ლამის მინდვრის თაგვი სულ გაწყვიტოსო.

⁂ ჯერ კიდევ 1884 წელს ტფილისის პირველ გილდის ვაჭარ ე. მ. კასუმოვმა ალექსანდროვის ყმაწვილების თავ-შესაფარ ბინას შესწირა 200 საჟ. ცარიელი მიწა ავლაბარში. ეხლა ალექსანდროვის ყმაწვილების თავ-შესაფარის ბინის გამგეობა ამ მიწის მფლობელობაში შედის. ამავე მიწაზედ გაჯი ყოფილა უსარგებლოდ დაყრილი, ეხლა გამოჩენილან პირნი, რომელთაც ამ გაჯის შესყიდვა მოუწადინებიათ. ამას გარდა, ბ-ნ კასუმოვს უნდა ამ მიწის გვერდით ქუჩა გაიყვანოს, სიგანით 5 საჟენისა. გამგეობასა ჰსურს ამ ახალ ქუჩას «ყმაწვილების» ქუჩა უწოდოს. (გაზ. «Кавказъ»).

ნარევი

ერთი ჩვენებური გლეხ-კაცი მ—ია უ—შვილი მივიდა ერთს თავადიშვილთან და სესხად ფული სთხოვა. გლეხი ძალიან კარგად გაკეთებული კაცი იყო, დიდის ცხვრისა, საქონლისა და ჯოგის პატრონი. თავადიშვილმა იცოდა, რომ ამისთანა შეძლებული კაცი ფულს დაესესხა.

— შე კაი კაცო, უთხრა თავადიშვილმა: ერთი-ორად ჩემზედ მდიდარი ხარ და ფულს მე მესესხებიო.

— რითა ვარ განა შენზედ მდიდარი? ჰკითხა გლეხმა.

— მაგოდენა ცხვარი გყავს, მაგოდენა საშენო საქონელი, ჯოგი, ღორი, პური მჭელის-მჭელი გაქვს და ღვინო,— აი რითა ხარ ჩემზედ მდიდარიო.

— ეგ ყველაფერი ერთის წუთისა და ფათერაკის წერაა. მაგით კი არა ვარ მდიდარი შენზედ, აი რითა ვარ: მე ჩემი ამოსხმული ქალამანი მაცვია და შენ კი სხვის შეკრილი ვაქსიანი ჩექმაო.

მართებლობის განკარგულებანი

ამ 1886 წელს მამულები გაიმიჯნება შემდეგს ადგილებში: ტფილისის გუბერნიაში, გორის უეზდში:

1) მამულები: ზინდისი, ბულაურა, ბოიანთხევი, წედანი, წაბლოანი, ბრილი და კემპერი. გამიჯვნის საქმეს აწარმოებს უფროსი ზემლემერი როზანოვი და უმცროსი თანაშემწე ზემლემერისა სტეპნიკოვი.

2) მამული ხაშურისა შიგნით გაიმიჯნება. საქმეს აწარმოებს უფროსი თანაშემწე ზემლემერისა ივანოვი.

3) მამულთა: აგარას და გომის გამიჯვნა: საქმეს აწარმოებს უფროსი თანაშემწე ზემლემერისა ივანოვი.

4) მამულს ქვემო-გომისაში: აღსრულებაში მოყვანილ იქნება ტფილისის ოკრუჟნოი სუდის განაჩენი. საქმეს აწარმოებს უფროსი თანაშემწე ზემლემერისა ივანოვი.

5) მამულის ულუმბიის დაყოფა 18 ნაწილად თავად ამირაჯიბთა შორის. საქმეს აწარმოებს უმცროსი ზემლემერი ხოლინი და უფროსი თანაშემწე ზემლემერისა მანსვეტოვი.

6) მამულები: აძვირი, კოდა (ზემო), აბანო, საციხური, აბისი და ფცა გაიმიჯვნება; საქმეს აწარმოებს უმცროსი ზემლემერი ხოლინი და უფროსი თანაშემწე ზემლემერისა მანსვეტოვი.

7) მამულებში: კავთისხევს, ეზათს, ნოსტეს, გუდალეთს, ერთა-წმინდას, გველდესს, ორბეთს და ახალ-ქალაქს: დაყოფა საერთო მამულებისა თავად თარხან-მოურავთა გლახაანთ ოჯახის ჩამომავალთა შორის. საქმეს აწარმოებენ უმცროსი ზემლემერი ფანიევი და უმცროსი თანაშემწე ზემლემერისა კორინთელი.

8) მამულებში: ერთა-წმინდას და სათუხარლოს—დაყოფა საერთო მამულებისა აზნაურ ჯავრიშვილებს შორის. საქმეს აწარმოებენ უმცროსი ზემლემერი ფანიევი და უმცროსი თანაშემწე ზემლემერისა კორინთელი.

9) მამულებში: გარდატენს, ატენის-ხეობას, კვარხითს, წინწაურს და ბორტას აღსრულებაში მოყვანა სასამართლოების განჩინებათა. საქმეს აწარმოებენ უმცროსი ზემლემერი ფანიევი და უმცროსი თანაშემწე ზემლემერისა კორინთელი.

10) მამულებში: იტრიას, ჩუმა-თელეთს, ზანავს, ტაშის-კარს, გამოღმა-ახალ-დაბას, ჭალას (აბაშიძეთა) და რველს—აღსრულებაში მოყვანა სასამართლოების განჩინებათა და დასრულება დაყოფისა სოფ. ზანავისა. საქმეს აწარმოებს უფროსი თანაშემწე ზემლემერისა ქეთხუდოვი.

11) ზანოვის მამულებში, თვითონ სოფელი გადიღება პლანზე 50 საჟ. მასშტაბით, ხოლო დანარჩენი ადგილები—200 საჟ. მასშტაბით. საქმეს აწარმოებენ უფროსი თანაშემწენი ზემლემერისა ქეთხუდოვი და ბუბნოვი.

12) მამულები: გომი და აგარა გადმოიღებიან პლანზე 100 საჟ. მასშტაბით ზემლემერის უფროსის თანაშემწესაგან—ივანოვისაგან.

13) წედანის მამულები გადიღებიან პლანზე 200 და 100 საჟ. მასშტაბით. საქმეს აწარმოებს უმცროსი თანაშემწე ზემლემერისა სტეპნიკოვი.

14) წაბლოანის მამული გადიღება პლანზე 50 საჟ. მასშტაბით. საქმეს აწარმოებს უფროსი თანაშემწე ზემლემერისა ბუბნოვი.

15) წაბლოანის და ზანავის მამულებში: საქმეს აწარმოებს უფროსის თანაშემწე ზემლემერისა როზანოვი.

მუშაობა დაიწყება 1-მაისიდამ.

მოლხენარს ქართველობას სიტყვა **скука** (დაღონება??) არც კი გვაქვს! ეს შესანიშნავი მხარეა ჩვენის ხალხის თვისებისა და ხასიათისა. ვისა ჰქონდა უწინ დრო დაღონებისა?.. ან ქეიფობდნენ, ან იბრძოდნენ!.. «სპლინი» წარმოგვიდგენს დაღონებას სასო-წარკვეთილებამდინ მიღწეულს!... ხშირად ამ სენით შეპყრობილნი თავს მოიკლენ ხოლმე!.. ერთხელ ერთი ინგლისელი მასკარადის ბალში შესულა... კუბოთი!.. სახე მკვდრისავით დაეხატა, კუბოში გაშეშებული იდო, ასე რომ გეგონებოდათ მართლა კუბო დადის მკვდრითაო!.. ვის მოუვა თავში ამისთანა ხუმრობა, თუ არ ინგლისელს!.. პირველად ხალხს თურმე შეეშინდა და ეზიზღა ეს ხუმრობა... მაგრამ მერე თურმე იმ წელიწადს მოდაში შემოვიდა და ერთ ბალში სუყველანი კუბოთი იყვნენ მორთულნი!..

ესპანიაში ამ დროს დიდი «ტორეადორობა» არის ხოლმე; ე. ი. კაცისა და ხარის ჭიდილი. ბარცელონა განთქმულია თავისის კადრილებით... რამდენიმე მასკები დადიან სახლებში და კადრილს თამაშობენ. ესპანიელები ძალიან ამაყები არიან და დიდი წესიერება არის ხოლმე ამ დროსა. მასკებს დასდევს თავისი უსტაბაში უმასკოდ, რომელიც თავდებია წესიერებისა.

ბოჰემიაში სხვა ჩვეულება არის. აქ ხარის მაგიერად მამალს გაასუქებენ ხოლმე; ჩააცმენ შარვალს, წითელ ბაშლუღს დახურავენ და სამჯავროდ გამოიყვანენ. ერთი ვინმე ბრალ-მდებელად გამოდის და ბევრს ცილსა სწამებს ამ მამალს... ქათმებს არ ასვენებსო!.. მსაჯულთ წითელი მანტიები აცვიათ, სხდომა აქვსთ; კანონებს გადაშლიან და გადაუწყვეტენ ხოლმე დამნაშავეთ ცნობილს მამალს თავის მოჭრას. დიდ მოედანზედ გამართულია ფიცრის ტახტი; ამ დროს დაიძვრის ლიტანია მუსიკით; მამალი მიჰყავთ მოედანზედ და გვერდით წითლით მოსილი ჯალათი მისდევს. მოედანზედ წაუკითხამენ სამჯავროს გარდაწყვეტილებას და ჯალათი თავსა სჭრის მამალს!.. შეიქნება ერთი ყვირილი, ალიაქოთი და მხიარულება!.. შემდეგ ქელეხს გამართვენ და ფრიად «შეზარხოშდებიან» ხოლმე!.. ყველას თავისი ჰაზრი აქვს! რაც უნდა გულ-ხმიერი, წარბ-შეკრული და გონება დინჯი კაცი იყოს, არის ისეთი დრო, როდესაც «სიგიჟე» მისთვის მოთხოვნილებათ გარდაიქცევა!..

⁂

ბერლინში ერთი გასაკვირველი ამბავი მოხდა, მაღალ საზოგადოებაში. სრა-სასახლის ბალი იყო და ამ ბალში მთელი საზოგადოების ყურადღება მიიქცია ერთმა ლამაზმა ქალმა, რომელსაც თავზედ ბრილიანტებით და ლალებით შემკული მტრედი ჰქონდა გაკეთებული. ეს ქალი შინ რომ დაბრუნდა, სარკეში ჩაიხედა და ელდაცემულმა შეჰკივლა... მშვენიერი მტრედი აღარა ჰქონდა თავზედ!... მაშინვე დაიწყეს ძებნა; მოჰსჩხრიკეს მთელი სახლი, ეტლი, რომლითაც ეს ქალი მოვიდა, მაგრამ ამაოთ.... მტრედი არსად იყო!... მეორეს დღეს ამ ქალაქის მოახლე შეჰხვდა თავის მეგობარს გრაფინია №-სავე მოახლეს და სხვათა შორის უამბო ამ მტრედის ამბავი. გრაფინიას მოახლე ძალიან გაჰკვირდა და უთხრა მაგისთანა მტრედი ჩემმა ქალბატონმა ბალიდგან მოიტანა და სტოლის უჯრაში შეინახაო. დამკარგველმა ეს რომ შეიტყო, მაშინვე პოლიციას აცნობა და გრაფინიას მოახლე დაიჭირეს,— ეგონათ მან მოიპარაო. ჯერ მოახლე არ გამოტყდა და შემდეგ კი აღიარა, რომ ერთი მაგისთანა მტრედი, რომელსაც ეძებთ, ჩემს ქალბატონს უჯრაში აქვსო. პოლიციის მოხელეები ძალიან განცვიფრდნენ და შეწუხდნენ, არ იცოდნენ რა ექმნათ, რადგანაც გრაფინია მეუღლეა ერთ უდიდესის მოხელისა, რომელიც იმპერატორთან ძალიან დაახლოებულია. როგორც იყო ერთმა პოლიციის მოხელემ გაჰბედა და მივიდა გრაფინიასთან. ამ მანდილოსანმა მეტად მედიდურად მიიღო და ჰკითხა: შენ ჩემთან, რა გინდაო! პოლიციის მოხელემ ხმა არ გასცა, მივიდა სტოლთან, გამოსწია უჯრა, ამოიღო მტრედი და უპასუხა «აი ამას ვეძებდი და ვიპოვნეო!». გრაფინიას მაშინვე გულს შემოეყარა.... შემდეგ ესე ახსნა თავისი საქციელი; მე მოპარვა კი არ მინდოდა ამ ნივთისაო, არამედ შემშურდა იმ ქალის სილამაზეო, მეტად ჰშვენოდა ეს მტრედი, და მინდოდა გადამეგდო სადმეო!...» ახსნა მეტად «ადვოკატურია!...» ქმარი გრაფინიასი ბერლინში არ იყო, და ეს ამბავი რომ შეიტყო სწრაფლად მოვიდა, და სცდილობს ეს საქმე როგორმე ჩაჰფუშოს. ამბობენ, თუ ეს საქმე არ დაიმალა და სამსჯავროში გადავიდა, ქმარი თავს მოიკლავსო!

⁂

პარიჟში იმავე მაღალ საზოგადოებაში, სხვა ამბავი მოხდა, მაგრამ არა ესეთი სამწუხარო, არამედ სასაცილო. კნეინა მ.-ს მასკარადის ბალი ჰქონდა. როდესაც ბალი გაჩაღებული იყო, ერთი მასკა შემოვიდა ინკვიზიციის მსაჯულის ტანისამოსით და მეტად თამამად ქცევა დაიწყო. ქალებს ბევრს სასიყვარულო სიტყვებს ეუბნებოდა და ზოგს აკოცა კიდეცა. ერთი სტუმარი ქალი იქამდინ გააჯავრა, რომ მასკა მოჰგლიჯა და განცვიფრებულთ სტუმართ წარმოუდგათ.... პარიჟში კარგად ცნობილი სახელმწიფო ჯალათი!... შეიქნა ერთი ალიაქოთი... ჯალათი, რასაკვირველია, «გამოაბძანეს» სახლიდგან. მერე გამოვიდა, რომ ერთ ქალს, რომელიც წაჩხუბული ყოფილიყო სახლის პატრონთან, მიუცია ჯალათისთვის ბილეთი და დაურიგებია ესე-და-ესე მოიქეციო. ბუდაპეშტში კიდევ სხვა ამბავი მომხდარა. ერთი არისტოკრატის ცოლი, ქმრის უდასტუროდ წასულა ბალში. შინ რომ დაბრუნებულა, ბევრი ურეკნია, მაგრამ ქმრის ბრძანებით არ შემოუშვიათ შინა. საშინელი ცუდი დარი თურმე ყოფილა,—თოვლი და ყინვა. მთელი ღამე ქალს კარებთან გაუტარებია, და მეორეს დღეს კარი რომ გაუღიათ, საწყალი ქალი უგონოდ უპოვნიათ. საბრალო ქალი ისე გაციებულა, რომ სამ დღეს უკან გადაცვლილა.

დონ ჟნ.

განწესებულია: კანდიდატი მოსკოვის უნივერსიტეტისა **სუმბათ ლაზარევი** სასამართლო სამსახურის კანდიდატათ ტფილისის სამოსამართლო პალატაში ამ წლის 15 მარტიდამ.

დაინიშნებიან: თელავის მაზრის სამმართველოს რეგისტრატორი (იგივე არხივარიუსი) **ხირსელოვი** იმავე სამმართველოს თარჯიმანათ, ხირსელოვის ადგილას—თავადი **გიორგი რუსიევი**, ორივე 1-ის მარტიდამ; პორუჩიკი **ფეიზულა-ბეგი-თაბეგოვი** და მილიციის პრაპორშჩიკი **ადამ ხმალაძე**—ორივე ტფილისის გუბერნიის სასამართლოში შტატ-გარეშედ.

დაეთხოვნიათ სამსახურიდამ: თელავის მაზრის სასამართლოს შტატ-გარეშე მოხელე, ტიტულ. სოვეტ. ალექსანდრე რევაზის-ძე **რჩეულოვი** თანამდებობიდამ და სამსახურიდამ; თელავის სამაზრო პოლიციის პრისტავი თავადი **ჯანდიერი** თანამდებობიდამ და ტფილისის გუბერნიის სასამართლოში შტატგარედ შეურიცხავთ.

დამაკვირდი!

სიმართლე სიცოცხლეა, სიყვარული მოყვასისაც სიცოცხლეა, მაგრამ უფრო ტკბილი, უფრო სასიამოვნო და უფრო ნაყოფიერი! (ლამეთე)

⁂

დიდად ძალოვანი კაციც კი უღონოა, თუ მომმენი მხარს არ მისცემენ. (დუკლო)

⁂

ნახევარ-ცოდნა ბევრჯელ უცოდინარობაზედ უარესია. (ლე კასტელი)

⁂

მაგება ხარჯია, რომელსაც შური დაადებს ხოლმე ღირსებასა. (სტერნი)

⁂

სიმტყუვნისაგან მტყუანსა
ეს მიხვდეს სარგებელია:
მართალი თქმულიც გაუხდეს
ცუდი და ურგებელია.
(მეფე ვახტანგ VI)

⁂

უცოდინრობა ავაა,
მაქვს მისი გამოცდილობა...
ჩემსავით სიცხით ნუ იწვით,
მონახეთ ნიავ-ჩრდილობა.
(დავით გურამიშვილი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

რაჭის მაზრა. 10 მარტს. ერთი და უმთავრესი მწუხარება რაჭველების უმრავლესობისა ის გარემოება გახლავსთ, რომ ამ მაზრაში შუა ადგილას არ არის დაფუძნებული მაზრის სამმართველო და სასამართლოები. ამის გამო საზოგადოება თანასწორად ვერა სარგებლობს ამ საჭირო დაწესებულებათა მოქმედებით. ერთმა ერთი-ორი ვერსი უნდა გაიაროს სასამართლოს ბჭემდის, და ასმა და ორასმა ორმოცი, ორმოც-და-ათი. პირველმა ერთი-ორი მანათი უნდა დახარჯოს სამართლის მისაღებად, და მეორემ სამოცი, სამოც-და-ათი. ამ ნაირი განსაზღვრა, ამ ნაირი სხვადა-სხვაობა შრომასა და ხარჯში ერთობ მძიმე საქმეა რაჭის მცხოვრებლების უმეტესს ნაწილისათვის. ამ გარემოებით ღონე-მიხდილმა ქვედა-ნაწილმა რაჭისამ რამდენჯერმე მოითხოვა, რომ სასამართლოები დ. ონში კი არა, რაჭის შუა-გულს დაეარსებინათ, რადგანაც დ. ონი რაჭის განაპირა კუთხეში მივარდნილი, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ეს ისე ადვილი არ არის. ამ საქმესთან ერთისა და ორის ინტერესები არ არის დაკავშირებული და ეს ერთი და ორი, თუმცა უმცირესობას წარმოადგენს, მაგრამ მხნედ ეწინააღმდეგება უმრავლესობის სურვილს. რაკი სრულიად სასამართლოს გადმოტანა დ. ონიდამ ჯერ-ჯერობით არ მოხერხდება, შუა-გულს ადგილას, ითხოვენ, განყოფილება მაინც დაეარსებინათ. მაგრამ ეს იმედიც, როგორც სჩანს, ხელიდამ მიგვდის, აქაც პირადობამ იჩინა თავი. ყველამ ის მოინდომა, რომ სასამართლოს განყოფილება იმათ საკუთარ ეზოში აეშენებინათ, და ამით საქმე აერ-დაერიათ. ამ სახით დღეს, როგორც ისმის, მათის თხოვნის შესრულება თითქმის შეუძლებელი შეიქმნა.

ფოსტის გზა კი, როგორც ისმის, მალე უნდა გაეხსნას რაჭა-ლეჩხუმს. როგორც მოგეხსენებათ, ამ გზამ უნდა გაიაროს რიონის მარცხენა ნაპირის აყოლებაზე. ინჟინერებმა უკვე ნახეს ეს გზა, და დასვეს კიდეც თავიანთი ნიშნები. ფოსტის გზას დიდის მხიარულებით ეგებება ჩვენი ხალხი. არც ერთი მხარე ჩვენის ქვეყნისა არ არის ისე შევიწროებული უგზო-უკვლობით, როგორც რაჭა-ლეჩხუმის მაზრა, და მით უფრო სანატრელია, რამდენათაც კი შესაძლოა დაჩქარდეს ამ საქმის სისრულეში მოყვანა: შეკეთდეს გზები, სადაც საჭიროა, გაიმართოს ფოსტის სტანციები და გაიხსნას ფოსტით მოგზაურობა.

ამას წინედ, რამდენადაც გვახსოვს, მაზრის უფროსს ლეჩხუმისას, და, ვგონებ, რაჭისასაც, მოსვლიათ ბრძანება რომ გამართონ ხელის მოწერა და ფული შეაგროვონ ზემოხსენებულის გზის შესაკეთებლად. უფროსთ მიანდეს თავიანთ ბოქაულთ ზემოხსენებული საქმე. ეხლა ნამდვილად ისმის რომ, რაც თითოეულს პრისტავს ჰქონდა წარსადგენი თავის საპრისტავოდამ, იმაზედ მეტი შეგროვილა ფული ხელის-მომწერლებისაგან. ყველა თურმე სიამოვნებით ეწევა ამ სასარგებლო საქმეს და არაფერს ჰზოგავენ, თუ კი შეუძლიანთ რამე.

ლეჩხუმის მაზრაში მოხდა ამ უკანასკნელს ხანებში ერთი სამწუხარო შემთხვევა: სოფ. ცხერას თ. კონსტანტინე ახვლედიანის სახლში, ქორწილში, როდესაც მაყრები კარგათ შექეიფებული შექცეოდნენ ცხენის ჭენებასა და შილინგს, ტყვიამ იმსხვერპლა ერთი საბრალო გლეხი, რომელიც მეორე დღესვე გარდაიცვალა. ვისმა ტყვიამ განგმირა საბრალო, ჯერ არ არის ახსნილი. როგორც ამბობენ, ექიმს გაჩრის დროს უნახავს ტყვია, რომელიც შიგვე დარჩენილა. ტყვია, ამბობენ, ახალის სისტემის დამბაჩისა უნდა იყოსო, მაგრამ ამითიც ძნელია მისი ნამდვილად გამოცნობა, თუ ვისმა დამბაჩამ იმსხვერპლა საცოდავი გლეხი, რადგანაც ერთი-და-იმავე სისტემის რევოლვერები ერთობ ხშირია ჩვენში. ძალიან გვაკვირვებს, სადაური წესია, ან სიდამ შემოუღიათ ჩვენს ახალ-გაზდებს ქორწილში და ქეიფობაში ტყვიით გატენილის თოფ-დამბაჩებით შილინგობა!!.

სანატრელია, რომ ამ ნაირი უჯერო ჩვეულება მალე მოისპოს ჩვენში, რომ მისთანა საცოდაობა არ გამეორდეს...

ურაველი

მუხრანი. 19 მარტს. ვიცი რომ მუხრანზედ არა დაწერილა რა, ამის გამო მეტი არ იქნება, ჩემის აზრით, ეს სოფელი მოკლეთ გავაცნო «ივერიის» მკითხველ საზოგადოებას.

სოფელი მუხრანი მდებარეობს მდინარე ქსნის მარცხენა ნაპირზედ, რომლიც ამას ჩამოუდის დასავლეთით და რომლის წყალობითაც მუხრანის ბაღები, ვენახები და სხვა სახნავი მიწები უხვად ირწყვის. მცხოვრებლების რიცხვით, ბუნების სიმდიდრით და ღვინის მოსავლით მუხრანს, მე ვგონებ, ბევრი სოფელი არ უნდა სჯობდეს მთელ ქართლშია. აქაური ღვინო გათქმულია მთელს ქართლში. მუხრანელები სცხოვრობენ, უმეტესს ნაწილათ ღვინის მოყვანით და აგრეთვე მიწის ხვნითაც, მაგრამ პირველი აქაურებისათვის უფრო დიდ სასარგებლო საქმეს შეადგენს, ვიდრე უკანასკნელი. აქ ღვინო ძალიან კარგის ღირსებისა არის და ძალიან მისდევენ, ასე, რომ აქაური ღვინო კახურს ღვინოს ბევრით არ ჩამოუვარდება. რადგანაც აქაურებს წყალი უხვად აქვს, ამის გამო მთელი ეს სოფელი ბაღებით და ხეხილით არის მოფენილი. უფრო მშვენიერ სანახავს სურათს წარმოადგენს ეს სოფელი გაზაფხულზედ და შემოდგომაზედ, როდესაც ხალხი რთველში სიმღერას დასძახის; მეტადრე იმისთანა წელიწადებში, როდესაც ბუნება კარგის მოსავლით დაასაჩუქრებს ხოლმე მცხოვრებლებს. მცხოვრებნი აქ არიან ქართველები და სომხები; ამათში უფრო შეძლებულნი სომხები არიან ასე, რომ თუ ხეირიანი ან სახლი, ან სხვა შენობა დაინახეთ ამ სოფელში, თუ თავადისა არა, სომხისა იქნება. სამწუხაროდ და საუბედუროდ აქაური ქართველები თითქმის სრულიად მოსანთქმულნი არიან აქაურ გაჭრებისაგან. არაფერ საზოგადო საქმეში აქ ქართველებს არაფერი ხმა და გავლენა არა აქვსთ, მოხელეთა შორისაც სულ გაჭრები არიან. კამერალნიის აღწერით აქაურ მცხოვრებთა რიცხვი ორივე სქესისა შეადგენს თითქმის ორი ათასსა, რომელთათვისაც არის აქ სამი ეკკლესია. ამათში ორი ქართველებისა და ერთი სომხებისა. ქართველების ეკკლესიები არიან პატარები, მაგრამ ძალიან მშვენიერის მხატვრობით არიან მორთულნი.

კარგა ხანი არის, რაც მუხრანში სკოლა არსებობს, მხოლოდ წარსულ წელში მუხრანელებმა ააშენეს სკოლისთვის მშვენიერი ერთ-სართულიანი სახლი ახალის გეგმით, რომელიც იყო გარდმოცემული საერო სკოლების დირექტორისაგან; სკოლა დასრულდა სექტემბერში და ნოემბრის 15-ში აკურთხეს ადგილობრივმა მღვდლებმა დიდის სიხარულით. კურთხევაზედ დაესწრო მისი ბრწყინვალება მთავარ-მმართებელი, ბ-ნი გუბერნატორი და კიდევ სხვა შესანიშნავნი პირნი. ამ სკოლისთვის სახლის აშენებაში დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი დუშეთის მაზრის მომრიგებელი შუა-კაცი თ. აბელ ჩოლოყაშვილი, რომელმაც ენერგიული მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში, და რომლის წყალობითაც აშენდა ხსენებულის სკოლის შენობა.

ბარელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ყველა ერმაო, ამბობენ საბერძნეთის გაზეთები, უნდა მარტო თავისი თავის იმედი იქონიოსო, სხვის მაყურებლობა არას არგებსო. აი მაგალითად ჩვენი საბერძნეთიო. მის კანონიერ თხოვნას არამც თუ ყურს არ ათხოვებენ, პირ-და-პირ წინააღმდეგობასაც უწევენ დიდი სახელმწიფოებიო. საბერძნეთი ეხლა ცხადად დარწმუნდა, რომ სხვა ამისთვის გულს არ შეიტკივებს და ამიტომ მარტო თავის ძალაზე-ღაა ეხლა დამყარებულიო. აი რას იწერება ათინელი კორრესპონდენტი გაზეთ «Московскія Вѣдомости»-ისა:

> საბერძნეთის სამინისტრო გაზეთები ერთხმივ აღიარებენ, რომ ამ ახლო ხანებში აუცილებლად ომს უნდა მოველოდეთო. იმ გაზეთების სიტყვით, რომელნიც პირველის მინისტრის შთაგონებით ლაპარაკობენ, მომავალ კვირის დამლევს მთავრობა მიიღებს საზღვარ გარეთიდამ შეკვეთილ სამხედრო ტყვია-წამალს და თოფ-იარაღს. რაკი მიიღებს, თუმცა ყველა სახელმწიფოები წინააღმდეგნიც იყვნენ, მაინც საბერძნეთი თავისას არ დაიშლის, ომს გამოაცხადებს და 25 მარტის დღეს თავის განთავისუფლებისას (ეს ის დღეა, როდესაც საბერძნეთმა ოსმალეთიდამ თავი დაიხსნა) ბრძოლის ველზე იდღესასწაულებსო.

ადვილი დასაჯერია, რომ გაზეთების წინასწარ-მეტყველება აღსრულდეს. თვითონ საბერძნეთის ერმა იგრძნო, რომ ომი ეხლა მისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და თუ ეხლა ვერას გახდა, საბოლოვოდ დიდი განსაცდელი მოელის მთელ საბერძნეთსა.

⁂

ღვინის გაკეთების და გასყიდვის საქმე რომ უფრო უკეთ წავიდეს, ვიღაც ბ-ნნი ნერუჩევი და ბუხარინი გაზეთ «Новороссійскій Телеграфъ»-ში ურჩევენ საერთო ღვინის სარდაფის გამართვას, როგორც, მაგალითად, ბუდა-პეშტშია, ვენგრიაში, და საუკეთესო სარდაფის ადგილათ ოდესას უჩვენებენ. ამაზედ გაზეთი საფუძვლიან შენიშვნას იძლევა, რომ ერთის სარდაფის გამართვა საკმაო არ იქნება. გაზეთის ფიქრით, უფრო უკეთესი იქმნება წვრილ-წვრილი სარდაფები დაიმართოს იმ ადგილას, საცა ღვინო მოჰყავთ. ეს სარდაფები, თუ მარნები ღვინოების წვრილმან მწარმოებლების საქმეს ძალიან აწევენო. აი რა საბუთი მოჰყავს გაზეთს თავის აზრის დასამტკიცებლად:

> საერთო ღვინის სარდაფის გამართვა, ვთქვათ, თუნდა ოდესაში, ყველას ვერ მოუმართავს ხელსა. ამ სარდაფით შეუძლიანთ ისარგებლონ მხოლოდ იმათ, ვისაც დიდი ზვრები აქვს, ბევრი და კარგი ღვინო მოსდის და ღვინოც ისეა მომზადებული, რომ შორს მანძილზე გადატანას გაუძლებს. წვრილთა ღვინის მწარმოებელთა საქმე სულ სხვა გვარია: ამათ არც შეძლება და არც ცოდნა ხელს არ უწყობს, იმოდენა და ისეთის თვისების ღვინო აყენონ, რომ ან ღირდეს და ან შორს მანძილზე წაღებას გაუძლოს. მაშასადამე, საერთო სარდაფის გამართვა და ისიც მოშორებით მხოლოდ ზოგიერთს, და ისიც შეძლებულს ღვინის მწარმოებელს, მისცემს შეწევნას და არა მთელ მხარეს. ჩვენის ფიქრით, წვრილ მწარმოებლებს უფრო ეჭირვებათ შველა; ამათ ის კი არ აწუხებთ მარტო, რომ ღვინეს გასაღება უძნელდებათ,—არა, უფრო მეტი გასაჭირი ამათი ის არის, რომ უცოდინარობისა გამო კარგი და გამძლე ღვინო ვერ დაუყენებიათ.

ჩვენის ქვეყნისთვის, რომლის ერთს უმთავრესს სიმდიდრეს ღვინო შეადგენს, დიდად საყურადღებოა ეს ამბავი. ვინ არ იცის, რომ ჩვენის გლეხის წლიური ნაღვაწი წვრილმან ჩარჩებს და სირაჯებს თითქმის მუქთად უვარდებათ ხელში. თუ ვინმე ისურვებს, საზოგადოებას შეადგენს და წვრილ საზოგადო სარდაფებს გაჰმართავს, დიდს სარგებლობას მოუტანს და გვგონია წაგებაშიაც არ იქნება. ამაზედ როდისმე უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკებთ ჩვენს გაზეთში.

⁂

ციმბირში საკვირველი წესები ყოფილა; ძალიან ახირებული სამართალი სცოდნიათ იქაურ მოხელეებს. აი რას მოგვითხრობს გაზეთი «Сибирь»-ი:

> ქალაქის თავს ერთი გლეხისთვის უცემია. გლეხს მაზრის უფროსთან უჩივლია. უფროსი მოსულა აბ—ხკში და საქმის გარჩევას შესდგომია:
>
> — შენ მართლა სცემე გლეხსა?—დიდის ჩაფიქრებით ჰკითხავს უფროსი ქალაქის თავსა და თან წვერებზე ხელს ისვამს.
>
> — ვცემე, თქვენო კეთილ-შობილებავ, დამნაშავე ვერ! უპასუხებს კადნიერად ქალაქის თავი.
>
> — ჰო... და რაზედა სცემე, ჩემო ძმობილო?—მიუბრუნდა უფროსი ახლა გლეხსა.
>
> — რა დავმალო, ბატონო... უნდა გამოგიტყდეთ: მეც ცოტა დავაშავე... მაგრამ ეხლა ცემა ხომ აღკრძალულია... თუ რამე ბრალი ჩავიდინე, აი კანონია და სამართალი, — მართლულობდა გლეხი თავსა.
>
> — აღკრძალულია? ცემა აღკრძალულია?—გულ-ჩაკლულად წარმოსთქვა მაზრის უფროსმა.
>
> — აბა, ბ-ნო ქალაქის თავო, ერთი ჩემთან ლაზათიანი უთავაზე მაგას!...
>
> ამ სიტყვებისათანავე ერთი ლაზათიანი თხლაშანის ხმა გაისმა: ქალაქის თავმა უფროსის ბრძანება დაუყოვნებლივ აღსრულებაში მოიყვანა.

ამითი სამართალიც გათავდა; უკეთესი სამართალი-და გინდათ! მართლა და რომ ნამდვილი ციმბირული სამართალია!

⁂

ინგლისელებს სმაში ყველასთვის გადუჭარბებიათ როგორც ეტყობა. აი გაზეთ «Новое Время»-ს რა საინტერესო ცნობები მოჰყავს:

> წარსულს წელს ინგლისში ათას ორას ოც-და-ათ მილიონ მანეთზედ მეტი ღვინო, არაყი და ლუდი დალეულა. ამ რიცხვში მარტო ლუდი 730 მილიონისა ყოფილა. ინგლისში 22 მილიონი მცხოვრები ითვლება. ამის და გვარად რომ ვიანგარიშოთ, თითო კაცზე ფულად ხუთი თუმანი მოდის და სასმელებით 16 ვედრა (48 თუნგი). მეტადრე სასმელებს დიდი გასავალი ჰქონიათ 1873 წლიდამ 1878-მდე. ამ წლებს წილად 1,470 მილიონი მანეთის სასმელი ჰხვედრია. გამოუანგარიშებიათ აგრეთვე, რომ 25 წლის განმავლობაში სულ 31.322,206,880 მანეთის სასმელი დახარჯულა.

ღმერთმა შეძლება და ღონე მისცეთ! ამბობენ, ინგლისელები დადვრემილის ხასიათის ხალხიაო, ან კი რა ხეირი უნდა დაეყაროს ამოდენა აუარებელის სასმელების დამლევსა?

უცხოეთი

ბოლგარია. ახირებული ამბები სწერია დღევანდელს გაზეთებში ბალკანის საქმეების თაობაზე საზოგადოდ და ბოლგარიისა და რუმელიისაზე კერძოდ. ბოლგარიის მთავარი წასვლას აპირობს აღმოსავლეთ-რუმელიაშიო. ალექსანდრე მთავარს აზრადა აქვს ჩა-

არჩუმის უკმაყოფილონი რუმელიისანიო. უკმაყოფილების მიზეზი ის არის, ამბობს თურმე ალექსანდრე, რომ რუმელიოტებს არ მოსწონთ ოსმალ-ბოლგართა მორიგება და არა სურთ ოსმალეთის პროვინციას შეადგენდეს იმათი ქვეყანაო. გაზ. «პეშტს ლლოიდს» გაუგონია, რომ ამ მოგზაურობის დროს მთავარს ალექსანდრეს განზრახვა აქვს თავის თავი გაერთებულის ბოლგარიისა და რუმელიის მეფედ გამოაცხადოსო. მთავარს მოგზაურობაში თან ახლდება თავისი პირველ-მინისტრი პეტკო კარაველოვი და იმ ქალაქსა და დაბაში უფრო დიდხანს დაჰყოფს, სადაც უკმაყოფილება უფრო ძლიერიაო. ბევრს უკმაყოფილოთაგანს, მთავრის ბრძანებით იჭერენ და აპატიმრებენ თურმე. ერთს ალაგას ამბოხებაც მომხდარა და დასამშვიდებლად ჯარი გაიგზავნაო.

კარაველოვის გაზეთები, მას შემდეგ რაკი სხვა მიმართულებისანი გააუქმეს, მეტად უჯეროდ და უმართებულოდ გვიხსენიებენ ჩვენცა, და საზოგადოდ უცხოელებსაცაო, ამბობენ დღევანდელის ფოსტით მიღებული რუსული გაზეთები, ერთი ბოლგარიის გაზეთი ყოველს ღონის-ძიებითა სცდილობს ბოლგარები, რუმელიოტები და უცხოელნი ერთმანეთს გადაჰკიდოსო და გადაამტეროსო.

კარაველოვის გაზეთში სწერია: «დღევანდელ გაჭირვებულ დროს, შენ, ჰოი ბოლგარელო, უნდა გულ-ახდით სთქვა, რას ამჯობინებ: თავისუფლებას, თუ ყმობას, დიდებას, თუ ბორკილებს, ეროვნობას, თუ არა-რაობას, ბედნიერ მერმისს, თუ უცხო კაცების ბრძანებლობას და მათრახსა. თუ მე არ დამიჯერებთ, ცუდი ბედი მოგელითო, დაგანაწილებენ, დაგყოფენ და ისე დაგამონავებენო. მოიგონეთ ისტორიის მაგალითებიო. თუ დაუჯერებთ ჩემს რჩევას, იტალიის ბედნიერი სვე იქნება თქვენი ხვედრიო. შემდეგ გაზეთი ამბობს: ყველას თავისი საზღვარი და დასასრული აქვსო...»

* * *

ოსმალეთი. ყველა ეს მითქმა-მოთქმა ესმის ხონთქარს და იძულებულ ხდის, რაც შეიძლება შეათოფ-იარაღოს თავისი ჯარები. რადგანაც ბოლგარიასა და რუმელიაში უიმედო ამბებია, ოსმალეთი აღმოსავლეთ-რუმელიის საზღვრებზე უფრო ბლომა ჯარს უყრის თავსა. ჯერ ისევ მარტის დამდეგსვე ადრიანოპოლის ვილაიეტში, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, 90,000 ჯარისკაცი ჰყავდა თოფ-ქვეშ დაყენებულიო. ამბობენ, ეხლა ხომ უფრო მეტი იქნებაო. ოსმალური გაზეთი «თარიგი» საშინლად უჩივის დიპლომატიას. ბევრსა გვპირდებოდა და კი ვერა მოახერხაო. ეხლანდელი მდგომარეობა უმწვერვალესად დაიხლართა და უფრო საშიშია, ვიდრე აქამდე იყოვო.

* * *

ინგლისი. გლადსტონს მინისტრთა რჩევისათვის 14 მარტს შეუტყობინებია უმთავრესნი საფუძველნი ირლანდიის საქმის კანონ-პროექტისა. ამ კანონ-პროექტს პარლამენტს მოახსენებენ 8 აპრილსაო. ბევრი თურმე ჰყავს წინააღმდეგი ამ პროექტს და თუმცა გლადსტონმა ძალიან შესცვალა ეს პროექტიო, მაგრამ მაინც დიდად საეჭვოა, რომ მან არ გამოიწვიოს სამინისტროს გადადგომა სამსახურიდამაო. მით უფრო ეწინააღმდეგებიან ამ პროექტსაო, რომ იმ სახით, როგორც გლადსტონს უნდა უშველოს ირლანდიას, საჭიროა მმართებლობამ 1,500 მილიონ მანეთზედ ხელი აიღოსო. ხოლო თუ ეს ფული არ გადასდო მმართებლობამ, არ შეიძლება შესყიდულ იქმნას ირლანდიის მემამულეთაგან მიწები ხალხისთვის დასარიგებლადაო.

ლონდონში შემდგარა ცალკე კომიტეტი, რომელიც დიდს მზადებაშია თურმე, რადგან 1888 წელს უნდა დიდი დღესასწაული გადიხადოს ბაირონის ასის წლის იუბილეის გამოო.

დეპეშა

20 მარტს

პეტერბურგი. დღეს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა სამხრეთ-რუსეთისკენ წაბრძანდენ.

გარეშე საქმეთა მინისტრი, კანცელარიის დირექტორი გრაფ ლემსდორფი და ვიცე-დირექტორი ობოლენსკი კვირას ლივადიას მიდიან და იქ დარჩებიან, ვიდრე ხელმწიფე იმპერატორი იქა ბძანდება.

გამოცხადდა ახალი წესი, რომლის მიხედვითაც უნდა იგზავნებოდეს ფოსტით წერილები, როგორც თვით რუსეთში, ისე საზღვარ გარეთაც. ახალი ამ წესებში ის არის, რომ ახდილ წერილების გაგზავნის დროს შეიძლება პასუხის ღირებულობა წინდა-წინვე იქმნას გადახდილი.

«*Journal de St.-petersbaurg*»-ი ამბობს, რომ ადვილი მისახვედრია, რად ჩავარდნილა ხაფანგში მთავარი ალექსანდრეო. ამის მიზეზია დიდთა სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებაო. მაგრამ რადგან ევროპა ასე ერთ-ხმად ადგია თავის აზრს, ბოლგარიის მმართებლობას მეტი ღონე აღარა აქვს და უნდა დაემორჩილოს ამ გარდაწყვეტილებასაო; ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ თუ დღევანდელი საშუალება დროებითია, შეიძლება სამუდამო შეიქმნეს, უკეთუ ბოლგარიის მმართებლობა სხვა გასაჭირს საქმეებს აღარას გამოატყვრენს და ამით ევროპას სინანულში არ ჩააგდებს, რომ მას ასე თავაზიანად მოექცაო. დღეს აღმოსავლეთში ისეთი მდგომარეობაა, რომ ძირეულად ვერაფერი ვერ შეიცვლებაო. ევროპის ყველა სახელმწიფოთა სარგებლობაა საქმეში ჩარეული და ეს გარემოება ითხოვს, რომ ერთმანერთს თავაზა და რიგი გაუწიონო. რაკი ასე ამბობს რუსეთიც, რომელმაც ისეთი დიდი მსხვერპლი შესწირა ბოლგარიას, ბოლგარნი ვალდებულნი არიან მის რჩევას ყური ათხოვონო. მთავარმა ალექსანდრემ მშვიდობიანობა ხელ-ახლად განსაცდელს მისცა. მან არივ-დარია და გააძნელა საქმე. გაძნელებულს საქმეს ისეთი შედეგი მოჰყვა, რომელიც მან იქნება წინ-და-წინვე ვერც კი მოიფიქრა და რომელსაც თავის საკუთარის ძალით ვერას უშველის. რადგანაც ასეა, ალექსანდრე მთავარს სხვა აღარაფერი არ დარჩენია, უნდა აიღოს და დაემორჩილოს ევროპის სურვილსაო. უნდა გულიდამ ამოიღოს, რომ მას ნება არა აქვს მუქარას უთვლიდეს ვისმე, თუმცა უკანასკნელი დეპეშები-კი სოფიიდამ ამ გვარის მუქარით იყო სავსეო.

იგივე გაზეთი გვაუწყებს, რომ ის ხმა, ვითომ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომ ებრაელებს და სხვათა აკრძალოთ რუსეთში შემოსვლა გაზვიადებულიაო; აქ ლაპარაკი მარტო იმათზედ თუა რომელთაც სახსარი არა აქვთ ცხოვრებისაო.

ბელგრადი. გარაშანინის თხოვნა სამსახურიდამ გადადგომისა უკვე შეწყნარებულ იქმნა და ახალის კაბინეტის შედგენა მიენდო რისტიჩსაო.

ბერლინი. რეიხსტაგმა 173 ხმის უმეტესობით, 146 წინააღმდეგ გადასწყვიტა, რომ ორის წლით კიდევ იმოქმედოს კანონმა სოციალისტების წინააღმდეგ. ლაპარაკისა და კამათობის დროს თ-დ ბისმარკს უთქვამს, რომ ეგ ვადა მაგაზედ ნაკლები არ შეიძლება რომ იყოსო და თუ რეიხსტაგი მარტო ერთს წელიწადს დანიშნავსო, მე ურეიხსტაგოთაც მოვახერხებ საქმესაო.

ბრიუსსელი. ზოგიერთგან მექარხნენი და მუშანი მშვიდობიანად მოურიგდნენ ერთმანეთს და ამ სახით უწესოება მოისპოო.

პეტერბურგი. ნევა ხუთი ვერსტის მანძილზე გაიწმინდა ყინულისაგან. ვოლგაზე, დასავლეთ დვინაზე და ვისლაზე ყინული დაიძრა. წყალი თან-და-თან მატულობს. ვარშავის რამოდენიმე ქუჩები და აგრეთვე გარემო სოფლები ააოხრა ადიდებულმა წყლებმა. მიტავაში მდინარემ წაიღო ხიდი და წაღეკა ქალაქის ნაწილი. სამხრეთ რუსეთში შიში არის წყლების და განსაკუთრებით დნეპრის გადიდებისა გამო.

ვოლსკი. მომზადებულია გასაგზავნად რიბინსკში პირველისა და მეორე რეისითა 900,000 ფუთი პური.

სოფია. თავადმა უარი განაცხადა და არ მიიღო დიდთა სახელმწიფოთა მიერ დადგენილი ფორმა მორიგებისა.

ლონდონი. უცხო-საქმეთა მინისტრის თანაშემწემ აცნობა პალატას, რომ მოლაპარაკება ბოლგართა საქმის შესახებ ჯერ არ გათავებულაო. საბერძნეთის შესახებ კი, ეხლანდელი სამინისტრო წინანდელ სამინისტროს პოლიტიკას ადგიაო. რუსეთის ფლოტმაო, განაგრძო მინისტრმა, მიატოვა სუდის ნავთსადგური დროებით და მალე დაბრუნდებაო.

ლორდმა როზბერიმ აცნობა ლორდთა პალატას, რომ რუსეთი გულწრფელად გვარწმუნებს, რომ მხარს მოგვცემს და შეგვეწევა საბერძნეთის საქმეშიო.

ბერლინი. პრუსიის სეიმის დეპუტატთა პალატამ მიიღო პროექტი კანონისა, რომლის ძალით მართებლობას ნება ეძლევა დახარჯოს ასი მილიონი ნემცების დასასახლებლად აღმოსავლეთ-პრუსიაში და პოზნანში იმ აზრით, რომ პოლშური ელემენტი შეასუსტოს.

ბრუსელი. წესიერება აღდგენილ იქნა ყოველგან. მუშაობა თან-და-თან მატულობს.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენ (1886) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

18 დღე სამშაბათი. წმ. კირილე იერუსალიმელ. სომეხ. 23 დღე დიდ-მარხვისა. კათ. გაბრიელ მთავარ-ანგ. მუსულმან. 25 დღე თვის ჯემათ-ულ-ახირ. 1303 წლის ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4—30. ტფილისში მზე ამოდის 5—47; ჩადის 6—24. მთვარე ამოდის 3—17 ნღ., ჩადის 1—20.

19 დღე ოთხშაბათი. მოწ. ქრისანფე, დარია. კათ. წმ. იოსებისა. ჭეშმარიტი შუადღე 12—4—12. ტფილისში მზე ამოდის 5—45; ჩადის 6—25. მთვარე ამოდის 3—49 ნღ. ჩადის 2—15.

20 დღე ხუთშაბათი. ღირსთა-მამათა მოწყვედილთა წმ. საბას: იოანე, სერგისი და სხვ. კათ. ქ. ალექსანდრიისა და ვიკენტი ეპ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3—54. ტფილისში მზე ამოდის 5—43, ჩადის 6—26; მთვარე ამოდის 4—23 ნღ.; ჩადის 3—13.

21 დღე პარასკევი. ღირსისა იაკობ, კირილე. კათ. ბენედიქტესი. ჭეშმარიტი შუადღე 12—3—36. ტფილისში მზე ამოდის 5—41; ჩადის 6—27. მთვარე ამოდის 4-52, ჩადის 4—11.

22 დღე შაბათი. მწ. ვასილი მღვდლისა და სხვ. სომეხ. წმ. 40 ყრმათა სებასტიელთა. კათ. პავლე ეპ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3—18. ტფილისში მზე ამოდის 5—39; ჩადის 6—28. მთვარე ამოდის 5—22; ჩადის 5—7.

23 დღე კვირა. ღირსისა ნიკონ და 200 მოწამეთა კათ. ეკატერინესი. დაარსდა საქალებო ინსტიტუტი ტფილისში 1840 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3—0. ტფილისში მზე ამოდის 5—37; ჩადის 6—30. მთვარე ამოდის 5—48 ჩადის 6—4 ღ.

24 დღე ორშაბათი. ღირსისა ზაქარია, ეპისკ. არტემისა. კათ. მარკოზისა, ტიმოთესი. მუსულმანთა: 1 დღე თვისა რეჯაბ 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—43. ტფილისში მზე ამოდის 5—36; ჩადის 6—31. მთვარე ამოდის 6—25; ჩადის 7—17 ღ.

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრივი პური 1-ლის ხარისხისა.	2½ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში	
1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3 »
მე-3 —	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი	
სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	9 »

გამოსადეგი ცნობანი.

მიმოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდამ გადის ბათუმს 8 ს. და 35 წ. დ.

ბათუმიდამ მოდის — — 10 ს. და 25 წ. ღ.

ბაქოში მიდის — — — 10 ს. და 45 წ. ღ.

ბაქოდამ მოდის— — — 8 ს. „ — „ ღ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.

სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.

კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.

კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.

ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31-

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.

კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.

კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.

ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით რადგან მარტო ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით; მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ქ. ქუთაისს
დუბლაკის და კº კირის ქარხანაში
ისყიდება საუკეთესო კირი
ამ ფასად:

1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელის კირისა . . . . . 75 მ.

1 კუბიკური საჟენი წყალ-დაუსხმელისვე კირისა ვაგონში დადებით 78 მ.

მსყიდველების თხოვნისამებრ ამ ფასად კირი შეიძლება გაიგზავნოს ვაგონებით ქ. ტფილისს, ბათუმს, ფოთს და ამიერ-კავკასიის რკინის-გზის ყველა სტანციებზე. გადასატანი ფასი მსყიდველმა რკინის-გზის მაზანდის მიხედულობით უნდა გამოგზავნოს.

ბათუმში კირის გასყიდვის აგენტად არის ბ-ნი ნ. შადინოვი; იქვე არის კირის საწყობი. (12—8)

გრ. ჩარკვიანის
ქართულ წიგნის მაღაზიაში
ისყიდება
ბ. ალ. მირიანაშვილისაგან შედგენილი:

პატარა მოამბე, საყმაწ. წიგნი » 10 კ.
საკლასო დედანი, ფურც. . » 10 »
იგივე, კარდონზედ გაკრული. » 60 »
მოძრავი ანბანი, ყუთში . . 1 მ. »
საოჯახო დედანი, ფურც . . » 3 »
იგივე, კარდონზე გაკრული. » 7 »
ანბანი კუბიკებზედ, ოჯახში სახმარებელი. . . . . 1 მ. »
(5—2)

Дозволено цензурою Тифлисъ 21 марта, 1886 г. ექ. ხელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.